სსრ კავშირის თასზე

„ნავბახორი“ (ნამანგანი) – „დინამო“ (თბილისი) 0:5 (0:1)

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 14 ივლისი.

„დინამო“: ხაპოვი, ჩიქოვანი, აფციაური (რევიშვილი, 58), ჭედია, ჯიშკარიანი, არველაძე, სვანაძე, ცვეიბა, ქეცბაია, ყიზილაშვილი (ფანცულაია, 57), გოგიჩაიშვილი.

„ნავბახორი“: სტრახოვი, ივანოვი, ბელოვი, ალიბაევი, პოპოვი, ---(ბიჩკოვი), რამოვი (კუდანოვი 84), ლატიბაევი, გრიდიუშკო, შუშ---- (საიდოვი, 84).

მსაჯი: ლ. ბავიკინი (ხარკოვი)

სსრ კავშირის თასის მეთექვსმეტედფინალის ამ ეტაპის თბილისში ჩატარების ისტორია გულშემატკივრებმა კარგად იციან. ნამანგანში შექმნილი ვითარების გამო „ნავბახორი“ იძულებული შეიქმნა ეს მატჩი მეტოქის მინდორზე ჩაეტარებინა. ამ გუნდისათვის უმაღლესი ლიგის წარმომადგენელთან ბრძოლა, ცხადია, უპერსპექტივო საქმეა, ამიტომაც დათანხმდა იგი მეთექვსმეტედფინალური მატჩების მთელი ციკლი თბილისში გაემართა.

მაგრამ თბილისის „დინამოც“ გარკვეული სირთულეების წინაშე იდგა. კერძოდ, ხანგრძლივი ტრავმებისა და ავადმყოფობის შემდეგ მინდორს დაუბრუნდა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი. ისინი, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ არიან ფორმაში და მხოლოდ „პირველ ნაბიჯებს“ დგამენ ოფიციალურ შეხვედრებში.

ალბათ, ამიტომ იყო, რომ ნამანგანის ფეხბურთელებმა პირველ ტაიმში მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს. ხანგამოშვებით ისინიც გადადიოდნენ შეტევაზე და დინამოელთა მცველებს სრული დატვირთვით აიძულებდნენ ებრძოლათ. მასპინძლებმა შესვენებამდე მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანეს, როცა 38-ე წუთზე არველაძემ ზუსტად დაარტყა საჯარიმო გა გახსნა ანგარიში - 1:0.

შესვენების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. თბილისის „დინამომ“, თუმცა კი იგი მინდორზე მეტისმეტად „ჭრელი“ შემადგენლობით იყო გამოსული, მაინც გამოავლინა თავისი ძალა და სტუმრებს მატჩის ხსნის არავითარი იმედი არ დაუტოვა.

55-ე წუთზე ნამანგანელთა საჯარიმო მოედანზე წააქციეს ჯიშკარიანი, 11-მეტრიანი ზუსტად დაარტყა გოგიჩაიშვილმა - 2:0, შემდეგ კი რევიშვილმა, ფანცულაიამ, და კვლავ რევიშვილმა 5:0-მდე „დაამრგვალეს“ ანგარიში.

ამ გუნდების საპასუხო მატჩი შედგება 17 ივლისს.

“ლელო” 16.06.1989